# სახალხო გაზეთი

№ 347 შაბათი, 9 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 347

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სღრაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანკის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“ ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

## დ. ყვირილაში

„ხორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.


## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

**მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.**

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


6 ივლისს გარდაიცვალა დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის ქვრივი

## ანნა იოსების ასული ბაქრაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილნი გარდაცვალებულისა კაპიტანი **ზაქარია დიმიტრის ძე ბაქრაძე, ოლღა აბულაძისა** და **ნინო მანსვეტოვისა, შვილის-შვილნი,** რძალი **ანნა ნიკოლოზის ასული ბაქრაძისა** და სიძენი **გახილ ნიკოლოზის ძე აბულაძე** და **გახილ მიხეილის ძე მანსვეტოვი**. პანაშვიდები იქნება: პარასკევს 6 საათს საღამოთი, შაბათს—ნაშუადღევის 1 საათზე, განსვენებულის ბინაზე (დიდუბის ქუჩა, ეკლესიის გვერდით № 23). დაკრძალვა—კვირას, 10 ივლისს, დილის 9 საათზე. (1—715—1)

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი **№ 6,** სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—87)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება**

**მოწყობილია 50 საწოლით.**

**განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**დბვთიანი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ზ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შიდაიათ. სადასტურით (წ.—1089—506)

## სურამში

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

## ქუთაისში

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, სიფილისურ და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—28)

**ექიმი გ. მუსხელიშვილი** სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (ე)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

## ახალი კლუბი

**შაბათს, 9 ივლისს, 1911 წ.**

საზაფხულო თეატრის სცენაზე

## საოჯახო საღამო

I

**ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწინდნენ**

2 მოქმ. კომედ. თ. რ. ერისთავისა.

II

**საკონცერტო განყოფილება.**

**ბალში სიმებიანი ორკესტრი და საზანდარი.**

კლუბში შესვლის ფასი: კაცებზე 1 მ., ქალებისაგან 50 კ., სტუდენტებზე 25 კ., თეატრში ადგილების ფასი 10 კაპ.-დან 50 კაპ. (2—1375—2)



**სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური მუზეუმი!** პარიზის მხატვრული პანორამა. მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და სიმკვლენი.

**სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:**

ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭირი. **ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.** მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქ. ლებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით **ზლოდინისა.** (50—1338—8)

**გაგრძელება „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“**

## საერთო კრებისა

დანიშნულია **ორშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 7½ საათზე,** ქართულ თეატრის დარბაზში.

განსახილველი საგნები: 1) თავ. პავლე თუმანიშვილის მოხსენების განხილვა, 2) ახალი წევრების არჩევა 3) გამგეობის ახალი წევრების არჩევა იმათ მაგიერ, ვინც გამგეობას თავს ანებებს. (2—716—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდას ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაჩეჩილაძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**გ. ს. ხტანიშვილი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხობოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წლ.—1090—104)

## ახალსთუმანში

**კბილის ექიმი**

## ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—20)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—56)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 6—93


## ტფილისი, 9 ივლისი.

**საყურადღებო პარალელი.** რუსის ნაციონალისტები ერთავად იმასა წუწუნებენ, რუს მცხოვრებთა ინტერესებს ამიერ-კავკასიაში არავინ იცავს, ქართველებმა და სომხებმა ჩაიგდეს ყველაფერი ხელშიო. ჩაფიქრებული მკითხველი, რა თქმა უნდა, ამ წუწუნში ვერავითარ სიმართლეს ვერ დაინახავს. მაგრამ მაინც შეიძლება ბევრზე ამნაირმა გოდებამ შთაბეჭდილება იქონიოს და დაარწმუნოს, რომ, მართლაც ქართველები და სომხები ჩაყლაპვას უპირებენ რუსებს ან მართლაც რუს მცხოვრებლებს რაიმე საფრთხე მოელითო. სინამდვილე სრულიად წინაამდეგს გვიმტკიცებს. ადგილობრივი ადმინისტრაცია დიდს მზრუნველობას იჩენს რუსებისადმი, და ეს მრავალის მაგალითებით შეიძლებოდა დამტკიცებულიყო. მაგრამ ავიღოთ მხოლოდ ერთი მაგალითი, მუღანის ველში არხების გაყვანა. მუღანოს ველი ძალიან მოუხერხებელი ადგილი იყო საცხოვრებლად, რადგანაც საკმაო წყალი არა ჰქონდა. მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამ ველზე მრავალი რუსის ახალ-შენები გააშენა და სარწყავი არხებიც გაიყვანა. წყალთა ინსპექტორის წინადადებით ფოტოგრაფი ერმაკოვი გამგზავრებულა მუღანოში და მრავალი სურათები გადაუღია არხებისა. მშვენივრად გამართული არხები ალექსეევისა, ვორონცოვისა, გოლიცინისა, ალექსანდრესი და ვლადიმირისა აწვდის წყალს მუღანოს ახალშენებს: პეტროპავლოვკას, ნიკოლაევკას, ალექსეევკას, ვლადიმიროვკას, კრიკობეინოსა და ატლიპინსკოვს. ვისაც ეს არხები დაუთვალიერებია, ამტკიცებს, მუღანოს ველი ამ ჟამად საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენსო. უდაბნო ადგილის გაკულტურების წინააღმდეგი ვინ იქნება? არც ჩვენ გვეთქმის რამე იმის წინააღმდეგ, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მუღანოს ველს მაინც მიაქცია ყურადღება, ეს მაგალითი ნათლად ამტკიცებს, როგორ სცრუობენ ხოლმე ერთი ჯურის მწერლები, როდესაც ქვეყანას შეჰღაღადებენ, რუს მცხოვრებთა ინტერესებს ამიერ-კავკასიაში საფრთხე მოელისო. მუღანოს ველის არხები ამის წინააღმდეგს ამტკიცებენ; უფრო მეტიც, ეს მაგალითი ცხად ჰყოფს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხოლოდ გადმოსახლებულ რუსთა ახალშენებს. თვალი გადაავლეთ საქართველოს სოფლებს, რომელნიც ხშირად სულსა ღაფავენ უწყლობით, და თქვენთვის ცხადი გახდება, რა უპატრონოდაა მიგდებული ეს სოფლები. არც ხეირიანი გზებია, არც არხები, არც საავად ყოფოები. უკიდურეს სიღარიბეს, რომლებსაც ქართველები განიცდიან, ზედ ერთვის უგზოობა და სხვა ამგვარი ელემენტარული პირობანი განვითარებისა. როდესაც ადგილობრივი მკვიდრნი საზოგადოდ და ქართველები კერძოდ აღნიშნავენ ამ გარემოებას და საჯაროდ აცხადებენ, ამნაირად ცხოვრება აღარ შეიძლებაო, „გოლოს კავკაზა“ და მის მსგავსი ორგანოები მაშინვე ყიჟინას ასტეხავენ, ქართველები სეპარატისტები არიან, ქართველებს რუსების ჩაყლაპვა უნდათო.

გაატარეთ პარალელი მუღანოს ველსა და ჩვენს სოფლებს შორის და ნათლად გამოჩნდება ხასიათი იმ მზრუნველობისა, რომელსაც უჩენენ ერთის მხრით ადგილობრივ მკვიდრთ და მეორის მხრით—რუსის ახალშენებს. მაშინ ისიც ცხადი გახდება, რამდენად სამართლიანად ჰგოდებს ხოლმე „გოლოს კავკაზა“, როდესაც ადგილობრივ ადმინისტრაციას უკიჟინებს, ქართველებსა და სომხებისთვის უფრო ზრუნავთ, ვიდრე გადმოსახლებულ რუსებისთვისო..

## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ხოლერა.** გუშინ ქალაქის მეორე უბანში, პრიუტის ქუჩაზე, ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ერთი ქალი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ავადმყოფი ჩქარა გარდაიცვალა. ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა საბოლოოდ გამოარკვევს, რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ქალი. გუშინ ქალაქში ხმა გავრცელდა, ასეთი შემთხვევა ტფილისში მეორეც იყოო, მაგრამ სინამდვილე ჯერ-ჯერობით ვერ გამოვარკვიეთ.

✦ **კავკასიის გზათა საოლქო სამმართველომ ტფილისის გუბერნატორს** აცნობა, რომ გზატკეცილი ახალციხიდან ბორჯომსა, აბასთუმანსა და ახალქალაქისაკენ, რომელიც კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოს გამგეობაში იმყოფება, უკვე 34—37 წლის წინედ არის გაყვანილი. ნაწილი ამ გზატკეცილისა, გაყვანილია ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ. რადგანაც ასეთი დიდი ხანი გასულა, ოლქის სამმართველოს არ შეუძლიან შეუთანხმდეს ქალ. ახალციხეს, რომელიც თხოულობს ფასს იმ ადგილებში, რომელიც გზას დაუტანია. მით უმეტეს რომ ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ქალაქზე გზატკეცილი გაჰყავდეთ და ქალაქი კი ადგილებში სასყიდელს თხოულობდესო.

✦ გუშინ, 8 ივლისს, **სასანიტარო კომისიამ** საქალაქო ექიმის გ. პ. მირაქოვის მეთაურობით და მე-2 უბნის ბოქაულის ს. გლოვაცკისა, სამაზრო მეთვალყურის ე. ლომიძისა და სასანიტარო მზრუნველის გ. ხახანოვის მონაწილეობით მე-2 უბანში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საერთო სასტიკი დათვალიერება მოახდინა. 15—20 ადგილამდე მეტი დაათვალიერა და სხვათა შორის ყასაბს აკოპოვს ოქმი შეუდგინა, რადგანაც იგი აყროლებულ ხორცს ჰყიდდა თურმე. ნახევარ ფუთამდე ხორცს ნავთი გადაასხეს და დასწვეს. გარდა ამისა, სასანიტარო წესების დარღვევა და უსუფთაობა აღმოაჩინეს, თოროზოვის სანოვაგე-საყასბოში, ვოლოდიანცის ფურნეში და თარფაიანცის საყასბოში.

✦ **ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტს პავლე დადვაძეს,** რომელიც რამდენიმე ხნის წინედ ოდესიდან იქმნა გამოძევებული, გენ. გუბერნატორმა ტოლმაჩოვმა სასჯელი მოხსნა და ოდესაში დაბრუნების ნება მისცა.

✦ **სოფ. ძლაგირში** (ჩრდილო-კავკასია) მობინადრე ქართველები თურმე ქართულ სკოლას აშენებენ, მაგრამ შენობის დასამთავრებლად ნივთიერი ძალღონე აღარ შესწევთ. ამიტომ განუზრახავთ დახმარებისათვის ქართველ საზოგადოებას მიჰმართონ.

✦ **თავდასხმა და მეარტელის გაძარცვა.** 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სადგურ სანაინსა და აფხატის შუა (ყარსის გზა), საქონლის მატარებელს № 29, რომელსაც მიბმული ჰქონდა აგრეთვე ერთი მესამე კლასის სამგზავრო ვაგონი, თავს დაესხა 10—12 შეიარაღებული კაცი. სამგზავრო ვაგონით მეარტელეს მარტინოვს მიჰქონდა ფული, მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებლად. მატარებელი ჯერ კიდევ შორს იყო, როდესაც ბოროტ-მომქმედთ ბუჩქნარიდან ხშირი სროლა ასტეხეს ბერდანის თოფებისა. როდესაც ორთქლმავალი ყაჩაღების საფარს მიუახლოვდა, ბოროტ-მოქმედთ სამი ყუმბარა გადაისროლეს, აფეთქების ძალამ ორთქლმავლიდან „მაშინისტი“ და მისი თანაშემწე გადააგდო. ორივენი საგრძნობლად დაშავდნენ. მძარცველები შევარდნენ მეარტელეს ვაგონში, ფეხში დასჭრეს იგი და წაართვეს 3000 მანეთზე მეტი. მძარცველები ღამის სიბნელეში სწრაფ მიიმალნენ. დაჭრილია აგრეთვე ერთი კონდუქტორიც. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიგვიღია. მომხდარი ბოროტ-მოქმედების ადგილზე საჩქაროდ გაემგზავრა სათანადო მთავრობა.

✦ **ხმოსანთა ამომრჩეველთა სია** ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა. 14 ივლისიდან სიას ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისია შეამოწმებს.

✦ **ქალაქის სანიტარულ აღმასრულებელმა ბიურომ** 7 ივლისს თავის სხდომაში შეიმუშავა ხოლერის საწინააღმდეგო ზომები.

✦ **ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა გეოლოგიურმა კომიტეტმა** ტფილისის გუბერნატორს აცნობა, რომ წელს არხოტის უღელტეხილის გეოლოგიურ გამოკვლევისათვის ამიერკავკასიაში იგზავნება გეოლოგი, სამთო ინჟენერი ალექსანდრე პავლეს ძე გერასიმოვი. გეოლოგიური კომიტეტი ტფ. გუბერნატორსა სთხოვს განკარგულება მოახდინოს იმ ადგილებში, სადაც მას მუშაობა მოუხდება, კანონიერი დახმარება გაუწიონ სამმართველოებმა.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო:** 1) ბორჯომის პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობას, გამართოს ბორჯომში **სეირნობა** ამ საზოგადოების სასარგებლოდ და 2) ბ-ნ ე. ა. ვახვახიშვილისას სავაჭრო სკოლის სასარგებლოდ გამართოს გორში წარმოდგენა.

## წვრილი ამბავი

✦ მტკვარში დაიხრჩო ისაკ იაკობის ძე მირზოევი.

✦ 7 ივლისს ტფილისში შეიპყრეს ანა გიორგის ასული თეიმურაზოვისა, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 7 ივლისს ფედოროვის ქუჩაზე იპოვეს ხევებში შეხვევით ბავშვი,

მდედრობითი სქესისა, დაახლოვებით 3.—4 თვისა. ბავშვი ოლგას სახებით ინსტიტუტში გაჰგზავნეს,

◆ 7 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 36 უპასპორტო.

## ქ უ თ ა ი ს ი.

◆ ამ მოკლე ხანში ქუთაისს-ხონსა და ქუთაის-ბაღდადს შუა ავტომობილები იწყებს მიმოსვლას. ბ-ნ ვ. გოცირიძეს ექვსი ავტომობილი გამოუწერია. ორი ქუთაისსა და ხონს შუა ივლის, ორი—ქუთაისსა და ბაღდადს შუა და ორიც—ქალაქში იმუშავებს.

ავტომობილი დღეში სამ გზობას გააკეთებს ხონსა და ბაღდადს შუა და 10—12 მგზავრამდე მოთავსდება შიგ. ქალაქის ბირჟაზე მომუშავე ავტომობილი კი ხუთ ადგილიანია. პირველ ხანებში კაცის თავზე ხონამდე და ბაღდადამდე თითო—1 მანეთი ედირება.

◆ ქალაქის ბიბლიოთეკაში მოსიარულე ახალგაზრდობა ძალიან უდიერად ეპყრობა წიგნსა და გაზეთებს. ძვირათ ნახავთ წიგნს, რომ ფურცელი არ აკლდეს, დაჯღაბნილი არ იყოს და უკბილო, ხშირად სულე-[illegible]

◆ საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოში საბოლოოდ გადასწყდა საკათედრო ტაძრის გალავნის შემოვლება. როგორც გავიგეთ, გალავანი ქვაფენილზე აშენდება და სიმაღლით ქალაქის ბაღის გალავნის ტოლა იქნება. საჭიროა ლაზათიანი კალავანი აშენდეს, რომ მოედანი არ დააუშნოვოს.

◆ ქ-ნ ელენე ჯინოვისა გვწერს: „თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს ვაცნობო ქუთაისის საზოგადოებას, თუ გაბრიელ ეპისკოპ. სამახსოვროდ დაარსებულ ბიბლიოთეკას შენობის დაწყება რა მიზეზით არის შეჩერებული. შარშან ამ დროს პირველი მიზეზი ის იყო, რომ ქალ. გამგეობამ გეგმა დაიწუნა, რადგან დანიშნულ ადგილისათვის დიდი გამოდგა, და გადასწყვიტა ორ-სართულიან შენობის აგება, მასთან აღნიშნა, თუ შენობამ რამდენი ადგილი უნდა დაიჭიროს. მეორე გეგმის შედგენა საგუბერნიო ხუროთმოძღვარმა ფრიკმა იკისრა მაგრამ, ალბად დროის უქონლობისა გამო, დღევანდლამდე ვერ შეასრულა დაპირება და დღეს კი სვანეთშია. ამისთვის ახლა მივმართე ხუროთმოძღვარ ს. გ. კლდიაშვილს, რომელმაც გეგმა უსასყიდლოდ დაგვიხატა. იმედია ბ. კლდიაშვილი ყოველ ღონისძიებას იხმარს და შეძლებისა დაგვარად მალე შეასრულებს ჩვენს თხოვნას და შენობის აგებასაც შეუდგება („კოლხიდა“).

## ბ ა ქ ო

◆ ხოლერით 4 გამხდარა ავად: ექიმებს იმედი აქვთ, რომ სენი არ გაძლიერდება, რადგანაც მის წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული.

◆ ამ ჟამად ბაქოში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იმყოფება, რომელიც რევიზიას უკეთებს ქალაქის 27 მილიონის სესხის დახარჯვას.

## ბათუმი

◆ აჭარ ქართულ სკოლისათვის ადგილობრივი გამგეობა უფროს მასწავლებელს ეძებს. მასწავლებელს წლიურად 720 მანეთი ექნება, ბინა, განათება-გათბობა და მოსამსახურე.

## შავი ზღვის-პირის რკინის გზა

(დახავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის ხაყურადღებოდ).

ამას წინედ ქუთაისის ქალაქის თავმა, ბ. ჩიქოვანმა ფრიად საყურადღებო მოხსენება მიართვა ნამესტნიკის სახელობაზე მის თანაშემწეს სენატორ ვატაცის*). საქმე შეეხება შავი ზღვის პირის მომავალ რკინის გზას, რომლის გაყვანა ხაზინის ხარჯით უკვე უმაღლეს წრეებში გადაწყვეტილია. ამ დროებით კავკასიიდან რუსეთში გადის მხოლოდ ერთი რკინის გზა ბათუმ-ტფილის-ბალაჯარი-პეტროვსკით. ახლა მთავრობას საჭიროდ დაუნახავს მეორე მხრითაც შეუერთოს ჩვენი ქვეყანა შიდა-რუსეთს, შავი ზღვის ნაპირით. როგორადაც ძლიერ ხმა მაღლა გაიძახიან საქმის ინიციატორები მომავალ გზის მხოლოდ ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობაზე. ვინც კი ამ საკითხს თავიდანვე ადევნებდა თვალყურს, იმისთვის ცხადია, რომ ქვაკუთხედი ამ საქმისა სტრატეგიული მოსაზრებანია, მაგრამ დაბეჩავებულ კავკასიისათვის სულ ერთია, რა მოსაზრებით გაიყვანენ შავი ზღვის-პირს რკინის გზას, ოღონდ კი გაიყვანონ. დღევანდელ პირობებში ეკონომიურ-კულტურულადაც სასურველი და სასარგებლოა ჩვენთვის ეს გზა და, რითაც კი შეგვიძლიან, ხელი უნდა შევუწყოთ მის დაჩქარებას.

რა გეზს მიიღებს ეს გზა თვით საქართველოში, რომელ დაბა-სოფლებს გაივლის ჩვენში, — საბოლოოდ არ არის გამორკვეული. მხოლოდ აზრად აქვთ მომავალი გზა გაიყვანონ სოხუმ-ზუგდიდით და შეუერთონ არსებულ ფოთ-ტფილისის მაგისტრალს დ. ახალსენაკში. მაგრამ შესაძლებელია მეორე-უფრო სასარგებლო და მთელ დასავლეთ საქართველოსთვის დიდად მნიშვნელოვანი მიმართულებაც: სოხუმი, ზუგდიდი, წალენჯიხა, მუხური, კურზუ, სალხინო, მარტვილი, ხონი, წყალტუბა, ქუთაისი, რიონი, სადაც შეუერთდება ბათუმ-ტფილისის გზას.

მეტად დიდი განსხვავება ამ ორ მიმართულების შორის ადგილობრივ საჭიროება-მოთხოვნილებათა თვალსაზრისით და ბ. ჩიქოვანის მოხსენება სწორედ ამ განსხვავებას შეეხება. თუ ბ. ჩიქოვანის მოხსენებას კრიტიკულად გავსინჯავთ, უნდა გამოვტყდეთ რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მოხსენება ისე არ არის შემუშავებული, და ყოველ მხრივ დასაბუთებული, როგორც ეს, შეეფერება ქვემოდან ზემოდ მიმავალ მოთხოვნილებას, რომელმაც საუკეთესო შემთხვევაში თუ სადმე მაგიდას არ ოღდო და არ შეჩერდა, უნდა გაიაროს მრავალი საფეხური სხვა და სხვა უწყება დაწესებულებათა და გადაიტანოს მკაცრი ქარტეხილი ბიუროკრატიულ კრიტიკისა. ჰკითხულობთ და აშკარადა ჰგრძნობ, რომ ბ. ჩიქოვანის მოხსენება სადაც ჯერ არს წარდგენამდის არც ერთ წრეში თუ კომისიაში ადგილობრივ არ არის გასინჯული, ეს ერთადერთ პირის ნაწარმოებია და თან ნაჩქარები, ზერელე და მეტად მოკლე, პატივცემულ ავტორს ან ძლიერ ოპტიმისტური რწმენა ჰქონია,—საკმარისია სიმართლე ვთქვა და ყველანი დაიჯერებენო,—ან და ფრიად მცირე დრო ჰქონია მოხსენების შესადგენად. ჩვენ ეს უკანასკნელი გარემოება უფრო სამართლიანად მიგვაჩნია, რადგანაც ავტორი მოხსენებაში ერთ ადგილას დანამდვილებით იმედოვნებს, რომ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა არ განსაზღვრავს თავის შუამდგომლობას ამ მოკლე და ზოგადი ცნობებით და „რამდენად შეიძლება ჩქარა“ წარადგენს დაწვრილებითს და ყოველ მხრივ ცნობებს.

ხსენებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, თვით დედა აზრი ბ. ჩიქოვანის მოხსენებისა უსათუო და უებრო სიმართლეა, რომელიც თამამად შეუძლიან სთქვას როგორც ქუთაისის ქალაქის თავმა, ისე ყოველ შეგნებულმა ქართველმა, ვინც მთელ დასავლეთ საქართველოს სიკეთის სურვილით გაერევა ამ საკითხში და არა თუ იმ დაბა-სოფლების ინტერესების განხორციელების მიზნით. სამეგრელოსა და იმერეთისათვის გაცილებით უმჯობესია, რომ მომავალი რკინის გზა გავიდეს სოხუმ, ზუგდიდი, მუხური, კურზუ, სალხინო, მარტვილი, ხონი, ქუთაისი, რიონით და არა ზუგდიდი სენაკით,—ამბობს ბ. ჩიქოვანი. ეს ისეთი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომლის ასე თუ ისე მტკიცება სრულებით მეტია დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის. მე ზედმიწევნით ვიცი ის ადგილები, რომლებსაც ბ. ჩიქოვანის მოხსენება შეეხება, და მცოდნე პირის თვალსაზრისით ვერ წარმომიდგენია, რომ მთავრობამ თუ სათათბირომ, მომავალ რკინის გზას გარდა ამისა სხვა მიმართულება მისცეს, რომელიც ბ. ჩიქოვანს სასურველად მიაჩნია. ყოველი სხვა მიმართულება შეიძლება სასურველი იყოს ჩრდილოეთიდან გამოწერილ მოხელეთათვის, რომელთაც, რასაკვირველია, ეჰ, ებათ ფოთი-ქუთაისის სიახლოვე, მაგრამ სრულიად უსარგებლო იქნება ერთობ იმ ქვეყნისათვის, რომლის აყვავება-გაბედნიერებისას დაბეჯითებით ლაპარაკობენ შავი ზღვისპირის რკინის გზის მეთაურნი. ბუნებრივ სიმდიდრეს და ეკონომიურ მნიშვნელობას მოკლებულ, მაგრამ მთავრობის მიერ ჯერჯერობით მოწონებულ გზის პირად მდებარე ცაიშს, ხორგას, ხობს, ქვალონს და სხვა მაგ გვარ სოფლებს უამებათ კი სოხუმ-ზუგდიდი სენაკის ლიანდაგი, მაგრამ რას ნიშნავს ორი-სამის სიამოვნება მაშინ, როცა საკითხი ათასის ყოფნა არ-ყოფნას შეეხება!

სხვა რომ არა ვახსენოთ-რა, მარტო „თეთრი მთის“ („ჩე გოლა“) და „ლე-[illegible]

[illegible]

თაისის ინტერესები აქვს მხედველობაში. მაგრამ თვით დაინტერესებულნი ქვანი ღაღადებენ, რომ სინამდვილე ძლიერია „მოსაზრებებზე“...

უცილობელი ჭეშმარიტებაა ბ. ჩიქოვანის მოხსენების დედა-აზრი მომავალ გზის მიმართულების შესახებ, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ დროში ლიტონი ჭეშმარიტების თქმა არა კმარა. საჭიროა მისი გამომზევება, დამტკიცება, ყოველ მხრივ დასურათება, დასაბუთება. ვერც ერთ ამ მოქმედებათაგანს მარტოდ მარტო ვერ შესძლებს ვერც ქუთაისის ქალაქის თავი და ვერც ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობა, რომელთა შუამდგომლობა საუკეთესო შემთხვევაში მიღებული იქნება როგორც მხოლოდ ქალაქ ქუთაისის შუამდგომლობა. საჭიროა უფრო ფართე ძალების ამოძრავება; საქმისთვის აუცილებელია, რომ საკითხში გაერიოს თვით ის მხარე, სადაც ბ. ჩიქოვანის პროექტით, უნდა გაიაროს მომავალმა რკინის გზამ. ტეხნიკურად თუ ფაქტიურად საქმეში დაინტერესებულია სამურზაყანო, ზემო სამეგრელო, სვანეთი, ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი. აი ამათ უნდა ამოიღონ ხმა, რომ ბ. ჩიქოვანის ყოვლად სასარგებლო და სამართლიანი პროექტი სახელმძღვანელო საფუძვლად დაედოს მომავალ რკინის გზის მიმართულებას მის საბოლოვო გამოკვლევის დროს.

მაგრამ როგორ და რა გზით შეუძლიათ გაერიონ საქმეში დაინტერესებულ დაბა-სოფლებს? წვრილ „საზოგადოებად“ დაყოფილ და მახლობელ წარსულით დაშინებულ გლეხობას არავითარი ფაქტიური შეძლება აქვს დღევანდელ პირობებში ამ საქმის გამო რაიმე თხოვნით მიჰმართონ სადაც ჯერ არს. ვაჭრებს არა-

[illegible]

ისის რკინის გზის საქმის მოგვარება უფრო ადვილია, ვიდრე კახეთის რკინის გზისა. აქ არც კონცესიაა საჭირო და არც რაიმე ფულის გაღება. ეს გზა, მის მიმართულების დამოუკიდებლად. გაჰყავს ხაზინას. ხოლო, როგორც ბ. ჩიქოვანი მოკლედ, მაგრამ სამართლიანად აღნიშნავს, ა) ზუგდიდი-ქუთაისის გზა მოკლეა ზუგდიდი-სენაკისაზე, ბ) ზუგდიდი-ქუთაისის გზა აუარებელ ადგილობრივ მასალისა-გამო გაცილებით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ზუგდიდი-სენაკისა, და გ) ზუგდიდი-ქუთაისის გზას იმდენად დიდი ეკონომიურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს, რომ შედარებაც არ შეიძლება ზუგდიდი-სენაკის გზასთან. დაუმატეთ ამას, რომ ზუგდიდი-ქუთაისის გზით კულტურულ ცენტრებს უახლოვდება დღეს ქვეყნიერობას მოწყვეტილი ლეჩხუმი და სვანეთი, — და ცხადი იქნება, რომ ამა თუ იმ მიმართულების უპირატესობაზე ორი სხვა და სხვა აზრი შეუძლებელია.

მაგრამ რაც აქ ჩვენთვის ცხადია, პეტერბურგისთვის შეიძლება სრულიად გაუგებარი იყოს. ამიტომ ისეთ უბრალო ჭეშმარიტების მტკიცება, როგორიც არის ზუგდიდი-ქუთაისის გზის უპირატესობა, ჩვენის აზრით, სანამ ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა, უნდა თავს იდვას დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ და ამისი ინიციატივა უპირველეს ყოვლისა მისს სამაზრო წინამძღოლებს ეკუთვნის.

**აზელი.**

## გერი იონა ხელაშვილი

(ბიოგრაფიული წერილი).

ჩვენს მწერლობაში ძალიან ნაკლებად არის გამორკვეული ვინაობა ამ დიდად შესანიშნავ ქართველ მოღვა-

*) მოხსენების პირი იხ. ხზვათა მღრის გაზ. „ზაკავკ. რეჩ“-ში, 5 ივნისი, N 123.

# უცხოეთის ცხოვრება

3.

**პორტუგალია.** ახალი წეს-წყობილება და მისი მტრები.—დამფუძნებელი კრება.—საეკლესიო კანონი.—მისი მოწინააღმდეგენი.—კონსტიტუციის პროექტები.—ორი ჯგუფი რესპუბლიკანელებისა.—პარლამენტარიზმი თუ პრეზიდენტობა? **ქალთა მოძრაობა.** ქალთა საკითხი.—საარჩევნო უფლება.—ამ უფლების მტერთა და მომხრეთა აზრები.—ქალთა საარჩევნო უფლების კავშირის მეექვსე საერთაშორისო კონგრესი.—ბოლგარელ და იტალიელ ქალთა კრებები.

ევროპის საქმეებმა პორტუგალიაზე ყველას დაავიწყა. იქ კი კარგი ამბები ხდება, ძალიან საყურადღებო და საინტერესო. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ შემოდგომაზე პორტუგალიაში რევოლუცია იყო. ხალხმა ძირს დასცა სამეფო გვარეულება, მოსპო მეფობა,—მეფე ემანუილი ინგლისს გააძევა და თავის ქვეყანაში რესპუბლიკა დაამყარა. დღემდის პორტუგალიას დროებითი მთავრობა განაგებს. ეხლა პორტუგალიაში მოწვეულია დამფუძნებელი კრება. კრებამ კონსტიტუცია უნდა შეადგინოს და რესპუბლიკის ძირითადი კანონები გამოსცეს. მძიმე საქმე აწევს კისრად პორტუგალიის დამფუძნებელ კრებას. პორტუგალელები პოლიტიკურ ცხოვრებას არ არიან მიჩვეულნი და ამავე დროს კი დიდი საკითხები უნდა გადასწყვიტონ. მართლა და ძნელი საქმეა შექმნა სახელმწიფოს ახალ-წესწყობილებისა, მეტადრე მაშინ, როდესაც ძველი დანგრეულია და მისი კარგიც და ავიც ბევრს ახსოვს, ბევრი იცქირება ძველისაკენ. უნდა გამოიცეს ახალი კანონები, უნდა შემუშავდეს ცხოვრების ახალი პირობები, ისე, რომ ყველაფერი ეს მომავალ ახალ ცხოვრებას აკმაყოფილებდეს. დიდი სიფხიზლე, გამჭრიახობა და წინად-გრძნობა უნდა გამოიჩინონ დამფუძნებელ კრების წევრებმა, რომ რამე შეცდომა არ მოუვიდეთ. მაგრამ მათ ამის თავდები ერთი რამა აქვთ: დამფუძნებელ კრების დიდი უმრავლესობა გულ-წრფელი რესპუბლიკანელები არიან. როცა ამ კრებისათვის დეპუტატებს ირჩევდნენ, ძველი წესწყობილების მომხრეებს იმედი ჰქონდათ მონარქისტების არჩევისა, მაგრამ დროებითი მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მათ ფეხ-ქვეშ საფუძველი დაეკარგათ და მათი მოქმედება მხოლოდ მომაკვდავის გამწვავება იყო. ეხლაც, როცა პორტუგალიის დამფუძნებელი კრება ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრების საფუძველსა ჰყრის, მონარქისტები თავისას არ იშლიან და კონტრ-რევოლუციას ახდენენ. თითქოს გაძლიერდა კიდეც კონტრ-რევოლუცია, მაგრამ იგი ვერას გახდება. ის ჯარი, რომელმაც მონარქია დაამსხვრია მის ხელ-ახლად აღდგენას აღარ ისურვებს.

პირველი კანონი, რომელიც ახალმა რესპუბლიკამ გამოსცა ეკლესიას შეეხება. ამ კანონით ეკლესია სახელმწიფოს ჩამოშორდა. დღეის შემდეგ ეკლესიასა და სახელმწიფოს იქ საერთო აღარა აქვთ რა. სამღვდელოება ვეღარ ჩაერევა სახელმწიფოს საქმეებში. რომის პაპი ძალიან გააწყრალა ამ კანონმა. თავისი ბულები და ენციკლიკები გამოსცა, მაგრამ საქმეს ეს ვერ უშველის, მით უმეტესს, რომ პორტუგალელ მღვდლებში ბევრი რესპუბლიკანელია. შინაურობაში ამ კანონმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, ასე გასინჯეთ თვით რესპუბლიკანელებიც აამხედრა ახალ მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ რესპუბლიკანელების აღელვებას სხვა საფუძველი უდევს, რეაქციონერებისას კი სხვა. დეპუტატები ამბობენ, მთავრობას რეაქციონერ მღვდლების წინააღმდეგ უნდოდა მოქმედება, მაგრამ მისი საქციელი მხოლოდ მორწმუნეთ სდევნისო. 26 მკათათვეს (ახალი სტილით) დამფუძნებელი კრება ამის თაობაზე მთავრობას შეეკითხა. დიდი და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა პორტუგალიაში გამოჩენილმა რესპუბლიკანელმა და ხალხის საყვარელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ედუარდო-დე-აბრეუმ. თქვენაო,—უთხრა აბრეუმ,—ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება გინდოდათ და ეკლესია სახელმწიფოს ყმად კი აქციეთო. თქვენ ეპისკოპოსებსა და პაპს ებრძვით, მაგრამ თქვენი ნასროლი მოქალაქე-კათოლიკებსა ხვდებათ, იმ კათოლიკებს, რომლებიც ისეთივე კარგი რესპუბლიკანელები არიან როგორიც თქვენა ხართო. თქვენ გინდოდათ რესპუბლიკა კლერიკალურ შეთქმულებათაგან დაგეხსნათ, მაგრამ სიტყვისა და ბეჭვდის თავისუფლება კი შესზღუდეთო. თქვენი კანონი წვრიმალნი და შარიანია, უსამართლო და იმდენად ძნელია მისი განხორციელება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებულია წარა-მარა დაარღვიოს კანონი, რომელიც იუსტიციის (სამართლის) მინისტრმა შეადგინაო. აბრეუმ ასეთი მაგალითები მოიყვანა. 26-ე მუხლი საეკლესიო კანონებისა სასულიერო პირთ სადმინისტრაციო თანამდებობის ასრულებას უკრძალავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხალხის დაბადება-სიკვდილის სიებს პორტუგალიაში მღვდლები აწარმოებენ. 26-ე მუხლის ძალით იძულებულნი იყვნენ მღვდლებისათვის ეს თანამდებობა წაერთმიათ, მაგრა აღმოჩნდა, რომ სოფლებში წერა-კითხვის მცოდნენი არ არიან და ეს სიები ვერავინ შეადგინა. შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებული იყო, 26-ე მუხლის წინააღმდეგ, მღვდლებისათვის ჩაებარებინა ამ სიების წარმოება.

176-ე მუხლის ძალით მღვდლებს ქუჩაში სასულიერო ტანისამოსით სიარული აეკრძალათ. პორტუგალელმა მღვდლებმა წამს გაიხადეს თავიანთი ანაფორები და სერთუკები ჩაიცვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პორტუგალიაში უცხო სახელმწიფოთა მღვდლებიც ბევრნი არიან. ამ მღვდლებმა განაცხადეს ანაფორებს არ გავიხდითო და არც გაიხადეს. პოლიცია მათ ატუსაღებდა. ამან დიპლომატიური მიწერ-მოწერა გამოიწვია. ბოლოს ალმენდა (შინაგან საქმეთა მინისტრი) იძულებული იყო პოლიციელებისათვის საიდუმლოდ მიეწერა, უცხოელ მღვდლებს ხელს ნუ ახლებთო. საეკლესიო კანონების სხვა მუხლები მარტო მღვდლებს კი არ აწუხებს, არამედ მოქალაქეებსაც. არავისა აქვს უფლება, მაგალითად, დაბეჭდოს, გამოაქვეყნოს და ხმა მაღლა სახალხოდ წაიკითხოს პაპის გამოცემული ბულები და ენციკლიკები. ისე თუ ამისათვის შესაფერი ნება არ დართო იუსტიციის მინისტრმა. ამ რიგად თუ მინისტრს პაპის მიერ გამოცემული ბრძანებანი არ მოეწონა, მათ ვერავინ გაიგებს. ამ ბრძანებათ კი შეიძლება ხშირად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეთ.

შეკითხვის დროს, ამ კანონის ავტორი აფფონსო კოსტა ავად იყო და კანონის დამცველად გარეშე საქმეთა მინისტრი ბერნარდინო მაშადო გამოვიდა, მაგრამ მისი დამცველი სიტყვა სუსტი იყო. მხოლოდ ერთი რამის თქმა-ღა მოახერხა მაშადომ; მან დე-აბრეუს ამ სიტყვებით მიჰმართა: როგორ? თქვენ, ძველი რესპუბლიკანელი, რესპუბლიკის მტრებს ემხრობით და რესპუბლიკანურ კანონსა სწუნობთო?!. ედუარდო დე-აბრეუმ უპასუხა: მე რესპუბლიკანელი და თავისუფლებისათვის მებრძოლი ვარ და კანონსაც ამ თვალსაზრით ვუცქერიო. თქვენ თავისუფლება მარტო თქვენთვის გინდათ. ეს შეუძლებელია. პორტუგალიის რესპუბლიკა დიდსულოვანი და სამართლიანი უნდა იყოს, თორემ მისთვის ბრძოლაც არა ღირსო.

ასე შეხედეს პორტუგალიის საუკეთესო შვილებმა რესპუბლიკის უდიდესს, ურადიკალურეს და ახალ კანონს. თუ ასე წავიდა საქმე, თუ მას პორტუგალელები მუდამ ასე მოეკიდებიან, ეჭვს გარეშეა, რომ პორტუგალია თავისუფლების სავანედ იქცევა. მაგრამ დამფუძნებელ კრებას მარტო ეს კანონი არა აქვს განსახილველი. მას უფრო მძიმე საქმე აქვს დაკისრებული. ეს საქმე კონსტიტუციის შედგენაა. დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკის ძირითადი კანონები უნდა გამოსცეს.

კომისია, რომელიც კონსტიტუციის პროექტებს იხილავს, ყელთამდის პროექტებშია ჩაფლული. თითქმის ყოველმა პუბლიცისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ შეადგინა თავისი პროექტი. ყველა ეს პროექტები კი ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. ერთ ჯგუფში ის პროექტები შედის, რომელიც პრეზიდენტობასა თხოულობს, მეორე კი პარლამენტარობს.

პირველი ჯგუფის პროექტები მოითხოვენ, რომ რესპუბლიკას სათავეში პრეზიდენტი ედგეს; პარლამენტი მხოლოდ კანონმდებელი დაწესებულებაა და პრეზიდენტის საქმეში ვერ ჩაერევა. პრეზიდენტს თვით ხალხი უნდა ირჩევდეს. იგი თავის ნებით განაგებს ქვეყნის საქმეს, ჰნიშნავს მინისტრებს და პარლამენტს ყურადღებას არ აქცევს. მეორე ჯგუფის პროექტები კი პარლამენტარიზმის მომხრეა. პარლამენტი მარტო კანონმდებელი კი არ უნდა იყვეს, არამედ აღმასრულებელ ძალის კონტრალიორიც. პრეზიდენტი მოვალეა გადააყენოს მინისტრები, თუ მათ პარლამენტის თვალში ნდობა დაჰკარგეს.

ამისთანა რესპუბლიკა საფრანგეთშია, პირველ ყაიდისა კი შეერთებულ შტატებში.

პორტუგალელი რადიკალები პარლამენტარულ რესპუბლიკის მომხრენი არიან. ზოგი მათგანი ამაზე შორსაც მიდის და ამბობს, რომ პრეზიდენტი სულაც არ არის საჭიროო. მის მაგივრობას მინისტრთა თავმჯდომარეც კარგად შეასრულებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სამინისტროს კრიზისი გაჩნდება პალატათა თავმჯდომარენიც გაუძღვებიან საქმესაო. ამას რადიკალები იმით ასაბუთებენ, რომ პორტუგალია პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოუცდელია და შეიძლება ის მოხდეს, რაც სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში მოხდაო, მაგ. მექსიკაში. ვისმეს, მაგ. რომელსამე გენერალს, ადვილად შეუძლიან ხელში ჩაიგდოს ძალა, არჩევნები ყალბად გაატაროს და მთელი რესპუბლიკა მხოლოდ ცარიელ სიტყვად იქცესო. პარლამენტის მიერ ამორჩეული პრეზიდენტი კი, რომელიც ორი-

წისა და ბევრი მის ნაშრომი, როგორც მაგალითად **უვრცელესი ქართული ლექსიკონი** და ზოგიერთი სხვა ბურუსითაა მოცული. ამისათვის მოგვყავს მისი ბიოგრაფიული ცნობანი.

თელავის მაზრის სოფელ ხოდაშენში სცხოვრობდნენ აზნაურნი მიხელაშვილები. ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზ II-ემ მოიყვანა ამ აზნაურთაგანი ვინმე ნიკოლოზი, ტკბილ მგალობლად წოდებული, თელავს და დაადგინა თავის პალატასა და ეკლესიაში მთავრად მწიგნობართა და მგალობელთა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ნიკოლოზის ძე გიორგი ხდება მეფის კარის ეკკლესიის დეკანოზად. ირაკლი II და დედოფალ ეკატირინას შორის დადებულ ტრაქტატებში 1783 წ. ივლისის 24 ნიკოლოზ მგალობელი, მისი ძმა იოსებ დეკანოზი და აგრედვე გიორგი მიხელაშვილები მოხსენებულნი არიან როგორაც კახეთის აზნაურნი.

ერთი ამ ხოდაშნელ მიხელაშვილთაგანი, უფრო ადრე, ვიდრე თეიმურაზ II ნიკოლოზს თელავში ჩაიყვანდა თავისთან, მიდის ქიზიყში ზესიძეთ **დიდსა დაბასა ვაქირში**. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქიზიყსა და მთიულეთში ერთხელვე არსებულ შინაგან ცხოვრების პირობების ძალით ძველად ფეხს ვერ იკიდებდა თავად-აზნაურობა. ამისგამო ვაქირში ზესიძედ შესული მიხელაშვილი, იძულებული იყო აზნაურობაზე ხელი აეღო და თავისი გვარიც მიხელაშვილი ხელაშვილად შეეცვალა. ამის შემდეგ ვაქირის შტო მიხელაშვილებისა იწერება ხელაშვილებად.

საქართველოს მეფეთა საგვარეულოს პირნი ჰმოწმობენ იონა ბერს ერთს მისდამი ბოძებულ წერილში, რომ მიხელაშვილები და ხელაშვილები საქართველოს მეფის გიორგი მე-XII დროს იყვნენ „სწავლულნი ფრიად საღმრთოითა წერილითა, მეცნიერებითა, მწიგნობრობითა და სრულისა მგალობლობისა ხელოვნებითა მშვენიერ და ტკბილად მგალობელ“ (მოწმობა 1820 წ. იანვ. 3.)

ვაქირის ნათლისმცემლის ეკლესია აშენებისა დღიდან, (ე. ი. 1555 წ.,) ლეონ II სიგელის ძალით ჩაბარებული ჰქონდა სრულის მემკვიდრეობითის უფლებებით გამგე-წინამძღვარს ყოველივე საეკლესიო ყმებით, ზვრებით, სახნავ-სათეს მამულებით და დანარჩენ მოძრავ ქონებით.

**1723** წელს შესწყდა მემკვიდრეობა გამგე-წინამძღვრისა და ამის შემდეგ ხელაშვილები ცდილობენ ამ თანამდებობის ხელში ჩაგდებას.

კარის დარბაზსა ჩვენსა მოვიდნენო—სწერს ერთს სიგელში ირანის მფლობელთაგან გამეფებული კახეთის პატრონი მაჰმედ იმამ ყული ხანი (კონსტ. II) და დედოფალთ დედოფალი ფურიჯან ბეგუმი შამხალის ასული-ჩვენი კარის მღვდელი დემეტრე ხელაშვილი და ძმა მისი დათუნა, გვეაჯნენ და ჩვენც ვუწყალობეთ ნათლისმცემლის ეკლესია ყმით, მამულით, უძრავ-მოძრავ ქონებით იმავე პირობა უფლებებით, რომლითაც ჩვენს მამაპაპათ გარდაეცათ სხვებზეო.“

ამის შემდეგ ბრძანებას აძლევენ რათა ყოველივე ეს შეასრულონ ქიზიყის მოურავმა და ბოდბელის ნაცვალ ასისთავმან. ეს სიგელი დაწერილია ვარაუდით **1724** წელს, როდესაც შამხალის ასული ფურიჯან ბეგუმი განაგებდა კახეთს თავის ნება სურვილზე, დაუკითხავად თეიმურაზისა და ბატონიშვილების მაჰმად მირზასი და ალი მირზასი. ეს უფლებები შეინარჩუნეს ხელაშვილების გვარის წინამძღვრებმა **1798** წლამდე, თუმცა ამაზე ადრე ბოდბელმა მიტროპოლიტმა კირილლემ მოისურვა ამგვარ მემკვიდრეობით წესის შეცვლა. ამის თაობაზე მეფე ერეკლესაც მოახსენა, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღო: „თუ ხელაანთ ოჯახში არც ბერი იქნება და არც მღვდელი, მაშინ აღარაფერი საქმე აღარა ექნებათ-რა ნათლიმცემლის ეკლესიის ყმათა და მამულთან. **1793** წ. თებერვლის **25**“. ეს ასეც მოხდა შემდეგ: **XIX** საუკუნის დასაწყისს ხელაანთ წინამძღვრობას უმემკვიდროება სპობს.

როგორც ხოდაშნელ მიხელაშვილებს, ისე ვაქირელ ხელაშვილებს ჩვენ განუყრელად ვხედავთ კახეთის მეფეთა სასახლეში და მათთან ერთგულობაში თანაბრივ თავ-განწირულ მამულიშვილებად.

**1747 წ.** თეიმურაზ II და მისი შვილი ირაკლი დაიბარა თეირანში სპარსეთის მფლობელმა ნადირ-შაჰმა. მეფემ ვაქირიდან გაიყოლა თავის ამალაში ზემოთ ნათქვამი დათუნა ხელაშვილი, დემეტრე მღვდლის ძმა, როგორც ფრიად გამოცდილი და დახელოვნებული კაცი. როდესაც თეიმურაზ II თავის ამალით თეირანში ჩავიდა, სპარსელებს აუტყდათ ერთმანეთში შინაურული ბრძოლა და ჩხუბი, რის გამოც საქართველოს საქმეები უფრო გაიხლართგამოიხლართა და ვეღარც მეფემ და მისმა ამალამ გამოჰბედეს თავის დროზე შინისკენ წამოსვლა. გზები ყველგან შეკრული იყო. ვერც კახეთიდან გაგზავნილმა კაცებმა მიაღწიეს მეფემდე და ვერც მეფემ მოაწოდა მათ თავისი ამბავი. ამ ყოფაში ჩავარდნილ მეფეს დათუნა ხელაშვილმა სამაგალითო სამსახური გაუწია თავისი „**სიმხნით და მამაცობით**“ და **1749 წ.** მშვიდობიანად გამობრუნდნენ საქართველოსკენ. ამას ამოწმებს თვით საქართველოს მეფეთა სიგელები.

დათუნა ხელაშვილის ვაჟი გიორგი, მამის სიკვდილის შემდეგ, წინამძღვრობს კახელთა ჯარს ლეკების წინააღმდეგ და ერთ წაგებულს ბრძოლაში უდროვოდ კვდება ჯერ ისევ ჭაბუკი. სტოვებს ობლებად სამს ვაჟს: იონას, სოლომანს და გრიგოლს.

საქართველოს მეფე ირაკლი II აფასებს ამ ობლების მშობლების მიერ მამულისა და ტახტისადმი გაწეულს ერთგულებას და ჰბრძანებს თავის სასახლეში ობლების მოყვანას და აღზრდას.

**1793 წ.** მეფემ იონა მიაბარა ტფილისში თავის მოძღვარს, მეტეხის დეკანოზს, იესეს და მის შვილს ზაქარიას, კარის ხუცესს, მწიგნობარსა და მგალობელს. ხოლო როცა ტფილისი მოაოხრა აღა-მაჰმად-ხანმა ყაჯრისამ, ირაკლი II დაბრუნდა ისევ თელავს და იონაც თან წაიყვანა. აქ **1796** წელს მიაბარა თავის შეორე კარის მღვდელს, მწიგნობარს იოანნე კალატოზიშვილს, ბინაც მისცა თავისთან პალატში და ჰქონდა „**საზრდოობა მისსავე ტრაპეზისაგან**“.

**1798** წელს, მეფე ირაკლის სიკვდილის შემდეგ, თავს არ ანებებს იონას აგრედვე გიორგი **XII**-ეც და იონას სტოვებს თავის მფარველობის ქვეშ და აბარებს თელავის სათავად-აზნაურო სასწავლებლის რექტორს (ერთს წერილში დირექტორად იხსენიება), ფილოსოფოსს დავით ალექსიძეს. **1800** წელს მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ, იონა ანებებს თავს სასახლეს და მიდის ქართლში მის დაბაქალაქების, ციხე-სიმაგრეებისა და საყდარ-მონასტერთა სანახავად. ამავე აზრით მიდის სომხეთისკენაც.*) ბოლოს იონამ აღირჩია „**ზესთამფრინველე ფილოსოფია**“, ე. ი. მონოზონობა და შედგა მწირად უძველესს და უწარჩინებულესს ქვაბთა ხევის ყოვლად წმიდა ღვთისმობლის მონასტერში, რომელიც **განწმენდილი სისხლითა დიდებულთა დიდთა მოწამეთა-მოწყსეთა დედათა მეუდაბნოეთაგან**.

მართალია იონამ დასთმო ქვეყნიერობა, დაბინავდა მონასტერში, დაეყუდა მხურვალედ, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მიჰვიწყებოდა მეფეთ სასახლე და თავისთან შეზრდილი ბატონიშვილები. საქართველოს პოლიტიკურმა რყევამ, ბატონიშვილების წეწვამა და დევნამ იონა მწირი შესძრეს საზეროშიც და იძულებული გაჰხადეს ჩაჰრეოდა სამშობლოს ბედის ბრუნვა-ტრიალში. ამიტომ იონასა ვხედავთ ხშირად ამის შემდეგ ხან ერთ ბატონიშვილთან, ხან მეორესთან და აგრედვე ამ უკანასკნელთ პირველთან. როცა ბატონიშვილებს დაუწყეს რუსეთში გზავნა და ტუსაღივით მოსვენებას არ აძლევდა იულონსა და ფარნავაზს, მოთმინებიდან გამოსულმა იონამ იკისრა მათი წინამძღოლობა და გაუძღვა მათ იმერეთისაკენ **1802** წელს. გადაატარა კავკასიონის მთა-გრეხილი რის ვაი-ვაგლახით და, ბოლოს, მრავალ წანწალის შემდეგ, მიიყვანა ისინიც მოსკოვში, სადაც უკვე სხვა მეფის ძენი მოეთავსებინათ საცხოვრებლად, გარდა ლევანისა და ალექსანდრესი. ძნელი და აუტანელი იყო აქ მათი მდგომარეობა, მაგრამ რას გააწყობდნენ?! ერთად ერთი მათი მანუგეშელი და სულიერად მამხნეველი ხდება იონა მწირი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მათზე თავისი ჰკვიანური რჩევა-დარიგებით და ბევრად უქარვებს ჭირსა და ვარამს. მოსკოვში მყოფმა ბატონიშვილებმა თავიანთ საჭიროებისათვის და აგრედვე სხვა და სხვა გვარ მინდობილობით გაჰგზავნეს იონა პეტერბურგს, სადაც იგი მიიღო თავისთან საქართველოს მემკვიდრემ დავით გიორგის ძემ (და არა იოანნემ, როგოოც ამას სწერს ბ. ცომაია). ერთხელ პეტერბურგს მისული იონა სიკვდილამდე დარჩა იქ და გატჩინოსა და ცარსკოე სელოს იქით ფეხი აღარსად გაუდგამს.

*) ამ ხანებში შინ მინაწერ წერილში მონღოლიზიტური მეხედულობა გაჰყავს ხამების მეორე პირის შეხახებ.

**მღ. ივანე ბარნაბიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

## ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘ

ვინც ამგო ბროლის კოშკი,
მანვე მომცა ოქროს ჩანგი;
ეს თვით ჩემი სული იყო,
მისგან ისმის წმინდა ჰანგი.

მთის სალს კლდეში ფესვი მიდგას,
ვუმზერ დაბლა სოფლის ტრიალს;
აღარ მიყვარს, ვინც მიყვარდა,
აღარ ველი გულქვა ტრფიალს.

დავემსგავსე ლაღ არწივსა,
დავემსგავსე ზეცის უფალს
მარტო ვმღერი საგალობელს,
მთებში მყვარს თავისუფალს!..

**ა. შანშიაშვილი.**

## ᲮᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ

**1850** წლიდან, რაბათის ქართველ კათოლიკეთა შორის არსებობს არხიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის მიერ წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისათვის ნაანდერძევი სამრევლო სკოლა, სადაც დღემდე სწავლობენ ადგილობრივ კათოლიკეთა შვილები.

მართალია სკოლას დღემდე წარმატება არ ეტყობა და ძველებურად სწარმოებს სარწმუნოების წეს-რიგის და დედა-ენის სწავლება, მაგრამ ანდერძი მაინც ძალაში რჩება.

ახლა, როგორც ნამდვილი წყაროებიდან ვიცით, მამა მიხელ ვარძელაშვილს ანდერძის გაუქმება ჰსურს. ინსპექტორისათვის თხოვნა მიურთმევია, ეს სკოლა შენობიანად ხაზინას გადავცეთ, თუ მასწავლებელთა ჯამაგირებს იკისრებენო. ამისთვის ხალხი ერთობ შფოთავს, თუ როგორია ჰბედავს მღვ. ვარძელაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტ დროინდელ სკოლის [illegible]რობის ხელში გადაცემას. [illegible] მთავრობა დაისაკუთრებს სკოლას, თავის პროგრამას გაამეფებს და ჩვენ ბავშვებს მოესპობათ თავისუფლად შესწავლა, როგორც ლოცვებისა, ეგრედვე დედა-ენისაო.

როგორც გავიგეთ, ხალხს ჰსურს დეპუტაცია მიუგზავნოს მღ. ვარძელაშვილს, არ შესცდეს და არ გადასცეს ეს სკოლა ხაზინას შენობითურთ, რაც ბევრნაირად საზარალო იქნებაო.

ამბობენ, მამა ვარძელაშვილმა **1904** წელს, ხიზაბავრის საეკლესიო სკოლაც გადასცა ხაზინას შენობითურთ, რომელიც გა¹სვ. სტ. კონსტ. ძე ზუბალაშვილის საფასით ყოფილა აშენებული. ეს რომ განსვენებულ ზუბალაშვილს შეუტყვია, ძალიან სწყენია. ამის თაობაზე საჩივრებიც აღუძრავთ თურმე ხიზაბავრელებს, რომ საეკლესიო სკოლა დაბრუნებოდათ, მაგრამ ვეღარაფერს გამხდარან.

**კუნაპეტი.**

## ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

მეორე უბნის მომრიგებელ მოსამართლესთან ირჩევა საქმე **მირიმანიანისა**, რომელსაც **თ-დ ბებუთოვისათვის** სიტყვით შეურაცხყოფა მიუყენებია თავის სამუსიკო მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე. ბებუთოვს ნაფიცი ვექილი არწრუნი იცავს. მირიმანიანს დამცველი არა ჰყავს.

**მოსამართლე** (ჩვენებას ართმევს ბოქაულის თანაშემწეს ბ. ტერ-მარტიროზოვს). ამ საქმისა რა იცით?

**ტერ-მარტიროზოვი.** ამ საქმის ოქმი შევადგინე და ახლაც ვამტკიცებ მის სიმართლეს.

**მირიმანიანი.** მე გაკვირვებული ვარ, როგორ ინახავენ პოლიციაში ასეთ ადამიანს! (მოსამართლე შენიშვნას აძლევს).

**ტერ-მარტიროზოვი** (აღელვებული). როდესაც მე შევესწარი მირიმანიანის ქცევას ბებუთოვთან, ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ მირიმანიანი არა ნორმალური ადამიანია! ახლა კი, როდესაც მოსამართლის წინაშე, ასეთ სიტყვებს ჰხარჯავს, ვაცხადებ, რომ იგი შეშლილი უნდა იყოს.

**მირიმანიანი** (საშინლად აღელვებულია და ყვირილით) ბატონო მოსამართლევ! გთხოვთ ეს სიტყვები ოქმში შეიტანოთ.

**ნაფიცი ვექილი არწრუნი** ითხოვს ოქმში შეიტანონ მირიმანიანის „სიტყვები, ოქმის შედგენის დროს თავის მაღაზიაში წარმოთქმული: „მე არავითარ პოლიციას არა ვსცნობ ჩემს სახლში, მას ნება არა აქვს ჩემს საქ-

---

ვე პალატის მხედველობის ქვეშ იქნება, პორტუგალიის დიქტატორობისაგან დაიფაროსო.

პრეზიდენტობის მომხრეა მთავრობა, მისი მეგობრები და „ზომიერი რესპუბლიკანელები“. ესენი ამბობენ, რომ საფრანგეთში, სადაც პარლამენტარიზმია, მთავრობა არა დროს არა დგა მაგრადაო. მთავრობას იქ პარლამენტის უმრავლესობის იმედი აქვს, მაგრამ ეს უმრავლესობა მუდამ არ არის მაგარი. ამას გარდა, პოლიტიკურ გაჭირების დროს საკმარისია ამ უმრავლესობისა რამდენიმე კაცი არ გამოცხადდეს პარლამენტის კრებაზე, კენჭის ყრაში მონაწილეობა ვერ მიიღოს და სამინისტროც დაეცემაო. პორტუგალიაში, მხოლოდ პოლიტიკური პარტიები არსებობენ. პარტიები სახელმწიფო მოღვაწეთ შემოჰხვევიან გარს ეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ მთავრობის დაცემას ხშირ ხშირად გამოიწვევს. პორტუგალიას კი წელში გამაგრება და შრომა სჭირია. გამუდმებული სამინისტროს კრიზისები რესპუბლიკას ხალხის თვალში სახელს გაუტეხს და ხალხი მეფობაზე დაიწყებს ოცნებასაო.

პრეზიდენტობის მომხრენი იმასაც ამბობენ, რომ დიქტატორობის შიში პორტუგალიაში უსაფუძვლოა, ჯერ-ჯერობით ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი ისეთი ამაყნი და მთავრობის-მოყვარენი არ არიან, რომ ძალის ხელში ჩაგდება იკადრონო.

ის კომისია, რომელიც კონსტიტუციის პროექტებს იხილავს, ხუთი კაცისაგან შესდგება. ამ ხუთ კაცში ოთხი პრეზიდენტობის მომხრეა. რომელ მხარეზე დადგება დამფუძნებელ კრების უმრავლესობა, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ ორ მიმართულებათ ხან გრძლივი და ცხარე ბრძოლა ექნებათ.

* *
*

თანამედროვე ცხოვრებაში ერთ უდიდესს და სადაო საკითხად ქალთა საკითხი ითვლება. ეს საკითხი მხარში უდგა მუშათა საკითხს და ისევეა გამწვავებული, როგორც ეს უკანასკნელი. მიზეზი ის არის, რომ ქალთა საკითხი, უპირველეს ყოვლისა მუშა ქალთა ეხება. მაღალის წრის ქალები ამ საკითხით უფრო თავს იქცევენ (ამას ქვემოდ კარგად დავინახავთ, როცა იტალიელ ქალთა კონგრესზე გვექნება ლაპარაკი), ვიდრე სერიოზულად ეკიდებოდნენ ამ დიდ-მნიშვნელოვან საკითხს. მუშა ქალები კი მწარედ ჰგრძნობენ თავიანთ უუფლებობას, მთელ იმ ექსპლოატაციას, რომელსაც აწინდელი სოციალური მდგომარეობა, ერთი მხრით, და მეორეთი, კერძოდ, მამაკაცნი ეწევიან. ჩვენ ქვეყანაში ამ საკითხს ის სიმწვავე არა აქვს, რაც ევროპაში. ჩვენში არც კაპიტალია განვითარებული და მუშა ქალებიც ნაკლებად არიან, და თუ არიან ისევ შედარებით მსუბუქ სამუშაოს ადგილან, მაგ. თამბაქოს და კამფეტის ქარხნებში. ევროპაში კი, მუშა ქალის ხელმა ყველგან დაიდო ბინა, მეტადრე ამერიკაში. იქ ქალი ხშირად კალატოზია, მეეტლე, ქვისმთლელი და სხვა ამისთანა. რასაც კაცი აკეთებს, ქალიც უკან არა რჩება. ამ ბოლო დროს, ქალებმა პოლიციელობაც კი დაიწყეს. ქარხან-ფაბრიკები ხომ სავსეა ქალებით. ამ რიგად იქ ქალთა საკითხი იგივე მუშათა საკითხია. ეჭვს გარეშეა, რომ რა წამს მუშათა საკითხი გადაწყდება, ქალთა საკითხიც გადაწყვეტილი იქნება მაგრამ ვიდრე ქალი ამას მიაღწევდა მას ეხლავე აქვს თავისი პროგრამა-მინიმუმი გადასაწყვეტი. უმთავრესი მუხლი ამ პროგრამისა ქალის საარჩევნო უფლება და ამ უფლებასთან დამოკიდებული მრავალი სხვა უფლებები; ეს საარჩევნო უფლება დიდ ბრძოლას იწვევს, თუმცა ზოგი ერთ ადგილებში გაიმარჯვა კიდეც. მაგ. ავსტრალიაში, ფინლიანდიაში და შეერთებულ შტატების ზოგი ერთ შტატებში, თვით ევროპაში კი ქალს საარჩევნო უფლება ჯერ არსად ჰღირსებია. აქ დიდი ბრძოლაა გამართული მამაკაცთა და ქალთა შუა. ამ ბრძოლაში საუკეთესო ადგილი ინგლისელ ეგრედ წოდებულ, სუფრაჟისტ ქალებს უჭირავთ. ესენი საარჩევნო უფლებისათვის იბრძვიან და მედგრადაც იბრძვიან. ეს პარტია დაარსებულია ერთი მუშა ქალის მიერ. პირველად პარტია სუსტი იყო, სულ რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა, მაგრამ დიდი სისწრაფით გაიზარდა ბევრი მამა-კაციც მიიმხრო და სუფრაჟისტები ეხლა ინგლისის მთავრობისათვის საშიშ ძალას წარმოადგენენ. მკითხველს ეცოდინება, თუ როგორი სიჯიუტით იბრძვიან ეს ქალები და თავიანთ მიზნის მიღწევას სცდილობენ; არ უშინდებიან არც პოლიციას, არც ჯარს; ხშირად დიდ დემონსტრაციებს ჰმართავენ და საარჩევნო უფლებას ხმა-მაღლივ ითხოვენ. ინგლისის მთავრობა, პალატის და ინგლისელი მამა-კაცთა დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიეცეთ. მათი საბუთები ჩვეულებრივ ასეთია: ბუნებამ თითონ განუმარტა ქალს თავის მოქმედების ასპარეზი, იგი დედა და ცოლი უნდა იყოსო. რას ეგვანება, თუ შვილების პატრონი დედა დეპუტატობას დაიწყებს, პალატაში ცხარე სიტყვების ლაპარაკს მოჰყვება და შეიძლება მინისტრობაც კი მოინდომოსო. ვთქვათ ქალი კიდეც შეუდგა ყველა ამ საქმეს, ოჯახი? ოჯახი ვიღას ჩაჰბარდეს, ვიღამ მოუაროს და დაზარდოს შვილებიო. ისა სჯობიან ქალი შინ იჯდეს და სამშობლოს კარგი მოქალაქენი და მამულიშვილები დაუზარდოსო. აი უმთავრესი საბუთი, რომელიც ქალთა საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგეთ მოჰყავთ. ზოგი მეტსაც ამბობს, ქალი და კაცი ერთად რომ შეიყრება იქ საქმე აღარა გაკეთდებაო, პარლამენტარული ცხოვრება კი, სახელმწიფოს ცხოვრებაა და განუწყვეტელ და ფხიზელ შრომას ითხოვსო. მათი აზრით, ქალი წუთიერ გრძნობებით უფრო სცხოვრობს, ვიდრე გონებით, მისტიკური, კლერიკალური ვასში ძლიერია და ქალი ძველ წესების მომხრეა, ახალს იგი ძნელად ითვისებს და ქალს რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში წილი დავუდოთ მხოლოდ რეაქციონურ ელემენტს შევიტანთ პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. ბურჟუაზია ქალთა საკითხს ჩვეულებრივ ასე ექცევა: როცა ქალთა იმ უფლებაზეა ლაპარაკი, რომელიც მათ მუშაობის ყოველ დარგში შესვლის უფლებას აძლევს, ბურჟუაზია ამას ორი ხელით ეჭიდება და „ქალთა ადამიანურ“ უფლებებზე ლაპარაკობს, მაგრამ რა წამს საკითხი ამ ფარგალს გადასცდება, საარჩევნო უფლებას და ინტელიგენტურ შრომას შეეხება, ბურჟუაზია მაშინვე წინააღმდეგი ხდება, ერთ განგაშს ასტეხავს ხოლმე და ზემოდ მოყვანილ საბუთებს ებღაუჭება. ამას ბურჟუაზია იმიტომა სჩადის, რომ ქალმა თუ ფიზიკურ შრომაში ადგილი დაიჭირა ხელ ფასი დაეცემა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქალის შრომა საზოგადოდ ნაკლებადა ჰფასობს და მეორეც იმიტომ, რომ მუშათა რიცხვი გადიდდება, გადიდდება მათი ქიშპობაც და ხელფასი დაიკლებს. კაპიტალისტთა მოგების ქონისათვის სწორედ ეს არის საჭირო. მაგრამ თუ ქალმა ინტელიგენტურ საქმეს მოჰკიდა ხელი, აქაც, რასაკვირველია, იგივე ქიშპობა გაჩნდება, მაგრამ ქიშპობა მუშათა შორის კი აღარ იქნება, არამედ მამაკაცთა და ქალთა შორის, ბურჟუაზის და ქალთა შორის. ბურჟუაზიის წარმომადგენელთ საპატიო და შემოსავლიან ადგილების ხელში ჩაგდება გაუჭირდებათ. ზემოდ მოყვანილი საბუთები მართლა ძლიერნი გამოდიან. ვის ჩაჰბარდეს ოჯახი; ვინ აღზარდოს შვილები, თუ კი ქალი ოჯახიდან გავა?! აი საკითხი. მაგრამ ყური დავუგდოთ ქალებსა და მათ მომხრეებს, მათ რაღა საბუთი მოჰყავთ თავიანთ აზრების დასაცავად?

ოჯახზე ლაპარაკობთ, უპასუხებენ ქალთა უფლებების მომხრენი მის მოწინააღმდეგეთ. ოჯახს არა-რა დააკლდება; ქალი მშრომელია, ამტანი, მას მამა-კაცზე ერთგულად შეუძლიან მუშაობა რაღა მაშინ გაგონდებათ ეგ ოჯახი, როცა ქალთა საარჩევნო უფლებასა და ინტელიგენტურ შრომაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი? რატომ ეგ ოჯახი მაშინ არ გაგონდებათ, როცა ქალს ქარხანაში მიერეკებით და ქარხნის მძიმე სამუშაოზე აყენებთ?. განა მაშინ კი არ არის ქალი ოჯახს მოწყვეტილი? ამას გარდა სად არის ოჯახი; ოჯახი დიდი ხანია დაირღვაო, ამბობენ ქალები. მართალიც არის. კაპიტალისტურ ქვეყნებში ოჯახი, ისეთი როგორიც წინედ იყო, დიდი ხანია დაირღვა. მეტადრე დაირღვა მუშა ხალხის ოჯახი; ამ ოჯახიდან მამაც, დედაც და შვილებიც ფაბრიკა-ქარხნებში არიან გარეკილნი, მთელ დღეს იქ ალამებენ და მხოლოდ საღამოთი ბრუნდებიან შინ, თავიანთ ქოხებში. სადილის ჭამაც კი არ აქვთ სახლში, სადილობენ რესტორნებში, საჩქაროდ, და ისევ სამუშაოზე გარბიან. გაჭირვებულმა ცხოვრებამ ქორწინებაც შეამცირა, ცოლის შერთვას ყველა უბრთხის და თუ შეირთავს ვინმე, მას ოჯახი ვერ მოუწყვია, ლუკმა პურის ძებნა ცოლსაც ოჯახიდან კარში აგდებს და ქმარსაც. თუ ვისმეს შერჩენია ნამდვილი ოჯახი, ისევ შეძლებულებსა და უზრუნველყოფილთ (უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში ცხოვრება ჯერ ასე არ არის გამწვავებული; კაპიტალს აქ ჯერ ისე არ მოუკიდნია ფეხი: რომ ოჯახს რამე ავნოს). ამ რიგად ის საბუთა, რომ ოჯახი გაჭირებაში ჩავარდება თუ ქალს ფართო უფლებანი მიეცაო. ძალასა ჰკარგავს. შვილების აღზრდის საკითხიც ამნაირსავე მდგომარეობაშია. თუ კი ოჯახა არ არის, თუკი მთელი ოჯახი, დედ-მამიან-შვილებიანად ქარხნებში სცხოვრობს, იქ აღზრდაც შეუძლებელია. ეხლანდელ ოჯახს შვილის აღზრდა არ შეუძლიან. სკოლა, აი ერთად-ერთი აღმზრდელი დაწესებულება ჩვენ დროში. ამიტომაცაა, რომ სკოლის თაობაზე ამდენი იწერება და ამდენსა ლაპარაკობენ თუ როგორ მოაწყონ სკოლა, რომ იგი ნამდვილი აღმზრდელი იყოს ბავშვისა. მართლაც დრო მოვა, როცა დედის აღმზრდელობითი როლი მთლად სკოლას ჩაჰბარდება, რადგანაც ოჯახი აღმზრდელი აღარ არის.

მეებში ჩაერიოს". ეს დამახასიათებელი სიტყვებია ბ. მირიმანიანისა.

**ტერ-მარტიროზოვი.** ოო, მირიმანიანს ყველა იცნობს, რაც ბრძანდება.

**მირიმანიანი.** დიახ, დიახ, მე ტფილისში ყველა მიცნობს (რამოდენჯერმე თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერებს ტერ-მარტიროზოვს. ეს უკანასკნელი თვალს გაუყრის და აგრე რამოდენიმე წამს ერთმანეთს უცქერიან).

**ნაფ. ვ. არწრუნი** (ეკითხება ორს მოწმეს, იყო თუ არა მოწმე მირიმანიანისა ამ შემთხვევის დროს მაღაზიაში).

**მირიმანიანი** (ყვირილით). ბ. მოსამართლევ, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ, რომ არწრუნი ამბობს, აქ მოსყიდული მოწმეები არიანო.

**მოსამართლე** (შენიშვნას აძლევს), სასამართლოში ყვირილი არ შეიძლება.

**არწრუნი** თხოულობს მირიმანიანს უმაღლესი სასჯელი მისცენ. ბ. მოსამართლევ! მე აქ მეტი საქირო არა ვარ და მივდივარ, მაგრამ გთხოვთ ჩემს აქ არ ყოფნის დროს, დაიფაროთ ჩემი პიროვნება მირიმანიანის მხრივ შეურაცხყოფისაგან, რასაც იგი უთუოდ ჩაიდენს.

(სიტყვა ეძლევა მირიმანიანს, რომელიც დაწვრილებით ახასიათებს ბებუთოვის მოწმეთ და ითხოვს ყურადღება არ მიაქციონ მათს ჩვენებას.

სასამართლომ მირიმანიანი გაამართლა.

# მოწერილი ამბები

**ს. ასკანა** (გურია). ს. ასკანის სამამასახლისო ხუთი სოფლისაგან შესდგება. მდებარეობა მთა-გორიანია და ხვნა-თესვისათვის თითქმის სრულიად გამოუსადეგარი: საყანე მიწებს სოფლელები უმთავრესად სოფლის გარედ ეძებენ; ცხოვრების უმთავრესი წყარო —სიმინდი და ღომი ისე ცოტა მოჰყავთ, რომ ნახევარ წელიწადს ძლივსა ჰყოფნით, დანარჩენ დროს კი ნასყიდ სიმინდით საზრდოობენ.

წინა წლებში, როცა ეგრედ წოდებულ ოდესის („იზაბელა") ჯიშის ვაზი ძლიერ ბლომად მოდიოდა, აქაური გლეხი შედარებით კარგად სცხოვრობდა: „ოდესის" ღვინო არ იყო კარგი, მაგრამ უმთავრესად არაყსა ჰხდიდნენ: ახლა „ოდესა" გადახმა და ამერიკულ ვაზზე დამყნილი დიდ ხეირს ვერ იძლევა, რადგან ძალიან ბევრ შრომასა თხოულობს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ქალაქებში, სადაც სოფლელები ფულის საშოვრად მიდიოდენ ხოლმე,

სამუშაო შოვნა გაძნელდა და ადვილად წარმოიდგენთ ამ სოფლის გაჭირვებას მით უმეტეს, რომ სოფლის ხარჯებმა, ამ უკანასკნელ წლებში, შესამჩნევად იმატა.

სხვა და სხვა გზზებულებს რომ თავი დავანებოთ, მთავრობის მამასახლისის და ჩაფრების შენახვა ხომ ჩვეულებრივ, ნორმალურ მოვლენად გადაიქცა. სოფელში თითო-ოროლა მთავრობის ერთი პირი არ გამოილია. ამ უბედურებას კიდევ გაუძლებდა როგორმე სოფელი, რომ საერთო არევ-დარევის დროს არ ესარგებლათ შემთხვევით სოფლის ნდობით აღჭურვილ პირთ. თუ მთავრობის მამასახლისი კიდევ დატოვეს, მაშინ სოფელმა მისი შესანახი ფული უნდა იხადოს. ეს მაშინ, როცა სოფელს არ აქვს ათთიაქი, არა ჰყავს ფერშალი და ბებია ქალი, თუმცა საჭიროება დიდია. განსაკუთრებით საჭიროა ბებია ქალი. ძველი ბებია ქალები დაიხოცნენ და ახლებს იმდენი გამოცდილება არ აქვთ (ცოდნა რომ აქვთ ეს თავისთავად ცხადია) რომ თანამედროვე მოთხოვნილებებს დააკმაყოფილონ.

და განა მარტო ეს აკლია დღეს სოფელს?

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაური ინტელიგენცია სრულიად არას აკეთებს ხალხის საკულტურო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი გვუბისოვი'ს. თითეულ განყოფილებას თითო მასწავლებელი ჰყავს; არსებობს აგრეთვე საქალებო სასწავლებელი, სადაც ორი მასწავლებელი ქალია. და ეს ამოდენა ინტელიგენტი ხალხი თავის პროფესიონალურ მოვალეობის ასრულების გარდა არაფერს ყურს არ უგდებს. არც წარმოდგენების მართვა, არც საკვირაო სკოლა, არც სახალხო კითხვები და სხვა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღევანდელ პირობებში ყველა ეს ძნელია, მაგრამ საქმის გაკეთების სურვილი რომ იყოს, შეუძლებელი არაფერია.

ზემო აღნიშნულმა გარემოებამ ძალიან დააქვეითა ხალხი ზნეობრივად. თუ წინედ დიდ საქმეებს-ც კი სწყვეტდნენ უმამასახლისოდ და უმწერლოდ, დღეს სასოფლო კანცელარიაში სიარული ხალხს მოთხოვნილებად გადაჰქცევია: საკმაოა პეტრეს თხა ან ქათამი ხაზოვიდეს ივანეს ეზოში და ივანეც სა-

ჩივრით მიდის მამასახლისთან და „სუდიებთან". იწყება ერთი აურ-ზაური, მწერლის და ოფლის ს მსაჯულების მოქრთამვა და სხვა. ამ გადაჭარბებულ „სიმართლის ძიებას" შედეგად ის მოსდევს, რომ მართალი მხარე თითქმის უოველთვის იჩაგრება.

ასე უოველ მხრიდან შევიწროვებული დღეს ჩვენი სოფელი და როდის რა ეშველება, კაცმა არ იცის.

„გლეხი".

# სპარსეთი

დეპეშები.

7 მკათათვე.

**ასტრაბადი.** 6 მკათათვეს მუჰამედ-ალი-შახი ომჩალს მივიდა, ასტრაბადიდან 20 ვერსის სიშორეზე. 7 მკათათვეს ქალაქის წარმომადგენლები მიდიან.

**თეირანი.** ზოგიერთმა დეპუტატმა და ბახტრიარების ხანებმა სთქვა, მუჰამედ-ალი-შახს წინააღმდეგობას ნუ გაუწევთო. ბახტრიეთში დეპეშა გაიგზავნა, თხოულობენ თეირანში რაც შეიძლება მეტი ბახტრიარი წამოვიდესო.

**თავრიზი.** ყაჩაღობამ რუსეთის ბევრი საქონელი შეაჩერა. ვაჭრებს დიდი ზარალი მოსდით.

**ვენა.** მარიენბადის საავადმყოფოს მოურავი იტყობინება, შახად ნამყოფი მუჰამედ-ალი მარიენბადში არა ყოფილაო. შახი 30 დღის წინედ ბადენიდან სადღაც წასულა. მარიენბადი იმიტომ იყო დასახელებული, რომ საზოგადოება მოეტყუებინათ.

**ბერლინი.** აქაური გაზეთები ამბობენ, რუსეთმა იცოდა, რომ მუჰამედ ალი-შახი ტახტის დაბრუნებას აპირებდაო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** ბაპტისტების ეკლესიის გამოჩენილმა წევრებმა მეიერსა და კონგელს ბაპტისტთა მსოფლიო კავშირმა მიანდო, რომ ისინი შემოდგომაზე პეტერბურგს წავიდნენ და იქ დიდი უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა აიღონ. ამ უნივერსიტეტმა მთელ ევროპისათვის ბაპტისტთა სასულიერო წოდების პირნი უნდა მოამზადოს.

**ბულლი.** უწესოება ისევ დაიწყო. გაფიცულები ქუჩებში დადიან და ფანჯრებს ამტვრევენ.

**კაპშტადტი.** ქალაქი რევოლიუციონერებმა დაიჭირეს. მდგომარეობა

ძალიან სერიოზულია. მსუბუქად დაიჭრა საფრანგეთის კონსული.

**სტამბოლი.** ადანაში აჯანყება ძლიერდება. ქალაქი აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს. ორ ნადმასანს ნაბრძანები აქვს, თუ არ დაჰნებდა, ქალაქს ზარბაზანი დაუშინოს.

**პარიზი.** ისპანიის ელჩმა დესელვი ინახულა და განუცხადა, ისპანიის მთავრობა სწუხს, რომ ბუასეს ცუდად მოექცნენო. მადრიდში გარეშე საქმეთა მინისტრისათვის ჯერ არაფერი არ შეუტყობინებიათ ამ საქმის შესახებ, მაგრამ როცა საფრანგეთისაგან ეს ამბები გაიგო, საფრანგეთის ელჩს სინანული განუცხადა.

**ცეტინიე.** მონტენეგრო ჯარების უფროსი გენერალი ბოსკოვიჩი ავად გახდა. მის მაგივრად დაინიშნა გენერალ-მაიორი მარტინოვიჩი.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** შტაბს-კაპიტანი რუდნიოვი ფარმანის ბიპლანით ერთი მგზავრითურთ გადაფრინდა მატჩინოდან კრასნოე სელოს. იქ ჩამოფრინდა ლაგერში და მიიღო რა მოწყალობა, ერთის საათის შემდეგ დაბრუნდა გატჩინოში.

**ორენბურგი.** სიროსტანში, ტროიცკის ოლქში, 300 სახლი დაიწვა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო ამბოხებაში მონაწილე ფლოტის ფელდშერს გრიგორიევს სასამართლომ მიუსაჯა 6 წლით გამასწორებელი რაზმი.

**ხარკოვი.** გუბერნიის ერობამ შუა მდგომარეობა'ს ძრა სამიწათმოქმედო მთავარი გამგეობის წინაშე დასახელდებლად გადიდოს ზმიევსკის, ვოლჩანსკის და ამურის ოლქებში მდებარე ჭაობთა თავისუფალი აღქონდეს.

**ოდესა.** „რუსეთის საზოგადოების" ნავთსადგურში გემი „წმიდა ნიკოლოზის" გასვლის დროს დაიჭირეს ჯგუფი, რომელნიც გაჰქონდნენ და კონსტანტინოპოლში ჰგზავნიდნენ ქალებს.

**ნოვოჩერკასკი.** სახალხო სასწავლებლების ინსპექტორთა კრებაში შეიმუშავეს დონის ოლქში საყოველთაო სწავლების გეგმა. მთავრობის სუბსიდია განსაზღვრულია 800 ათას მანეთით.

**ტომსკი.** მზის დაგვრისაგან გადაიცვალა ორი კაცი. ტარგუტაევის ოლქში თავს დაესხნენ სახაზინო არყის დუქნებიდან ფულების შემგროვებელს. შემგრები და დარაჯი მოჰკლეს, მეეტლე დასჭრეს, მოტაცებული თანხის რაოდენობა არ იციან. ახალნიკოლაევსკში აღმოაჩინეს ხოლერის ერთი შემთხვევა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო ავიატორი პორუჩიკი აბრამოვიჩი ფარმანის ბიპლანით გადაფრინდა ბალაკლავაში და უკანვე დაბრუნდა.

# წერილი რედ. მიმართ

წიგნის გამომცემლობის „კულტურის" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ამა წლის 8 ივლისს, ჩვენ, ქვემორე ხელის-მომწერთა შორის „ანტიურ ქვეყნის" გადათარგმნა გამოცემის შესახებ ყოველივე უთანხმოება დღეიდან მოსპობილია, და ხსენებულ წიგნის გამოსვლას გამომცემლის მიერ დაპირებულ ვადაში არავითარი დაბრკოლება ეღობება წინ.

დ. კახრძე, კ. თავართქილაძე.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ჩაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **ხაფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დილ 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის ხაღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსკენ:** 1) ხამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დილ 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) ხაფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად, 1 ს. 44 წ., ბალაჯარში ხაღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში ხაღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული მატ.** N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. ? ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) ხაფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. ხაღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107 მე-4 კლასით ხაღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, ხაღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. ხაღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მღვიმისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. ხაღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ 8 ს. 20 წ. ხაღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

მღვიმიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. ხაღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4 ს. 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის ხაღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის ხაღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ჩრდილო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან მკურნალის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარეკო № 76, 77, 76a, 77a.

4) შერეული სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათუმს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

## ნიხრი

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა** (მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუღი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრეთვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში . 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სახაფლაოებამდე . . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრეთვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე აგლაპარში . . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10 იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.-

**მ. გ. აველიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გიეცკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციმევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინ. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—77)

◄ მშობიარეთათვის ►

# თავშესაფარი

## ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—60)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

**Bâton-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. უიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ✦ ახალ-ახალი ✦

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

**წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიცა** 50 კ.

აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1058—)


სტამბა „ხორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.